საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის ოცდაერთ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ირმა გოგიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა №14 დამიკავშირდა მოქალაქე ერეკლე გამყრელიძე, რომელმაც მთხოვა მივსულიყავი მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, მე-10 კმ, რადგან ვერ ახერხებდა ჩემს სანოტარო ბიუროში მოსვლას, მე გამოვცხადდი აღნიშნულ მისამართზე.

ერეკლე გამყრელიძემ გაწაცხადა, რომ, არის შპს "სანტე ჯი ემ თი პროდუქტები" - ს (ს/კ №206052206) გენერალური დირექტორი, რომელმაც თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22141342, მომზადების თარიღი: 08/11/2022.

მან გამოხატა მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე **ერეკლე გამყრელიძის** (დაბ: 02.05.1986 წელს, პ/ნ #01008018235, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. #52, ბინა 15) პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მინდობილობა სრულად წავუკითხე მას და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასოცდაოთხი წლის ოცდაერთ ნოემბერს, მე, ერეკლე გამყრელიძემ (დაბ: 02.05.1986 წელს, პ/ნ#01008018235, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. #52, ბინა 15), როგორც **შპს "სანტე ჯი ემ თი პროდუქტები" - ს გენერალურმა დირექტორმა, ნინო მამალაძეს** (დაბ: 15.12.1989 წელს, პ/ნ #01024069378, მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N7, ბინა 54) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. **ნინო მამალაძე** უფლებამოსილია წარმოადგინოს კომპანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, საჯარო რეესტრში, ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობის მუნიციპალურ სამსახურებში, თვითმართველობის ორგანოებში და ქ. თბილისის ნებისმიერი რაიონის გამგეობაში. უფლებამოსილია მიმართოს ზემოთ ხსენებულ სამსახურებს კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, რომლის საკადასტრო კოდია: 01.19.18.008.001 სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, წარმოადგინოს კომპანიის ინტერესები აზომვითი ნახაზის მომზადებისას, ასევე პროექტის შედგენისას მოახდინოს პროექტის კორექტირება, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, კომპანიის სახელით მიიღოს მშენებლობის უფლება ნებისმიერ კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით. მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება. მიიღოს მშენებლობის ნებართვა. გადაიხადოს კომპანიის სახელით მოსაკრებელი, მოახდინოს ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა და განახორციელოს აღნიშნულ მინდობილობაში მითითებული მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არის მითითებული აღნიშნულ მინდობილობაში, გარდა უძრავი ქონების გასხვისების ან სხვა უფლებრივი შეზღუდვისა.
2. მინდობილობა ძალაშია ორიათასოცდაოთხი წლის ოცდაერთი ნოემბრიდან ორიათასოცდახუთი წლის ოცდაერთი თებერვლის ჩათვლით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.
3. მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო 2 (ორი) გადაეცა მინდობილობის გამცემს.
4. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:
- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ. გვერდიდან).**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, აგრეთვე 35.00 ლარი (სანოტარო მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ), ამავე დადგენილების 34-ე მუხლის, აგრეთვე 5 ლარი, თანახმად მითითებული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლისა, დღგ 11.70 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა, სულ გადახდილია 81.70 ლარი.

ხელმოწერა .....

ნოტარიუსი ირმა გოგია

საქართველო. ნოტარიუსი ირმა გოგია * GEORGIA. NOTARY IRMA GOGIA * 01027003167